F9843

მწყემი

№ 14

№ 14 1883—1906 წ. 30 ივლისი.

რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის საქმე?

+ +

წარსული წლის დეკემბრის თვეში თფილისში შეკრებილ დელეგატების კრებაზე უმეტეს ნაწილს სურდა, რომ ავტოკეფალობა საქართველოს ეკლესიისა აღდგენილიყო დეკემბრის თვეშივე, მაგრამ უმცირესობამ ეს გადაწყვეტა შეაჩერებინა კრებას 14 იანვრის რიცხვამდისინ. კრების გათავების შემდეგ დელეგატებმა აირჩიეს ცამეტი წევრისაგან უმთავრესი საბჭო, რომელსაც დაავალეს კრებისაგან შედგენილი გეგმის განხორციელება ჭ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის საქმე. იანვარში სასტიკი რეპრესიების გამო საქმე შეჩერდა და შეჩერდა უმეტესად იმით, რომ ორი მღვდელთ-მთავარი გაიწვიეს სინოდში მოსალაპარაკებლად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის შესახებ. გაწვეულმა მღვდელთ-მთავრებმა, როგორც გვარწმუნეს, სინოდი გვირჩევდა და ნებას იძლეოდა ექსარხოსად ქართველი მღვდელთ-მთავარი დანიშნულიყო. მაგრამ როგორც სამღვდელოების დელეგატებმა ისე თითქმის მთელმა სამღვდელოებამ უარი განაცხადეს ექსარხოსობაზე. დელეგატები ერთად მღვდელმთავრებთან აპირებდენ შეკრებას ივლისის შუა რიცხვებში, მაგრამ არ მოხდა კრება. მეორედ 24 ივლისს უნდა შეკრებილიყვნენ მოსალაპარაკებლად და საქმის გადასაწყვეტად, მაგრამ ორი დელეგატის მეტი არ გამოცხადებულა კრებაზე და არ გამოცხადებულან, რადგან წერილებით და ტელეგრამებით შეეთვალათ, რომ არ მოსულიყვნენ კრებაზე. ეხლა მესამედ არის დანიშნული კრება და ვნახოთ შეიკრიბებიან თუ არა?

დღეს ცხადად აშკარავდება, რომ სინოდს არ სურს საქართველოს ხალხის და სამღვდელოების სურვილი აღასრულოს, არა სურს, რომ ქართველებს, რომელნიც თავის ნებით შეუერთდენ რუსეთს, მიენიჭოს ის უფლება, რომლითაც ყოველთვის სარგებლობდენ და სარგებლობენ სომხები, ფრანგები, ურიები და თათრებიც კი...

მაგრამ ეს არის ისევე ჩვენი სამღვდელოების და საზოგადოების ბრალი. ჩვენი სასულიერო წოდების მოთავე პირები ასი წლის გასვლის შემდეგ კიდევ იმას უმტკიცედენ ქვეყანას, რომ ექსარხოსების წყალობით გვიდგია სულიო!.. ნაცვლად იმისა რომ ასი წლის გასვლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ეპისკოპოსები დაქვემდებარებოდენ პირდაპირ სინოდს ისე როგორც სხვა რუსეთის ეპარქიები, ისინი მაინც საჭიროთ მიიჩნევდენ ექსარხოსის დანიშვნას და ნიშნავენ კიდეც!..

აიღეთ ჩვენი სინოდის კანტორა და განიხილეთ მისი ღვაწლი და სამსახური საზოგადოების სასარგებლოდ ამ ასი წლის განმავლობაში. რას წარმოადგენს იგი? ჩვენ არა გვჯერა, რომ დედამიწაზე სადმე იყოს ისეთი დაწესებულება, რომელიც შეედაროს ამ კანტორას!.. სხვას თუ არა ფულების ფლანგვას, მაინც უნდა მიექცია მართებლობის და საზოგადოების ყურადღება, რომელიც ამ დაწესებულებაში ხშირად ხდება ხოლმე. ნუ თუ სამღვდელოება და საზოგადოება ვერ გრძნობს და ვერ ხვდება, რომ ეს ახირებული დაწესებულება ცოტა ხარჯს არ ითხოვს თავის შესანახავად და არც ერთი პირი, რომელსაც საქმე ჰქონებია ამ დაწესებულებასთან არასოდეს მადრიელი არ ყოფილა. ნუ თუ სინოდსაც მოსწონს და სასარგებლო დაწესებულებად მიაჩნია ეს კანტორა? უმეტესი ნაწილი მიტროპოლიტებისა წინააღმდეგია ამ კანტორის არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობისა. მაგრამ რაშია საქმე? რა გვაბრკოლებს? ბევრი რამ, მაგრამ უმეტესად ის, რომ ჩვენი სამღვდელოება და საზოგადოება დიდი მომთმენია და გულგრილად ეკიდება თავიანთ სავალალო საქმეებს. ამიტომაც ხდება, რომ ხელიდან გვეცლება სარწმუნოება და ყველა ის რითაც დიდებული და ქებული ვიყავით წინეთ. ბოლოს ხელში შეგვრჩება მხოლოდ სინოდის კანტორის შენობა და ყალბი კასის წიგნები, შედგენილი კანტორის ხაზინადრის არ—ზიანისაგან, რომელიც ექსარხოსების მოსაწონად დიდი ხანია მსახურებს ამ „კანტორაში“...

სოფლის ხუცესი.

ქარაფშუტა ბლაღოჩინები.

ბლაღოჩინის მოვალეობა დიდია. ბლაღოჩინი წინამძღვარია ერთი საბლაღოჩინო ოლქისა. სამღვდელოების ნაკლს ავსებს და დიდ დახმარებას გაუწევს სამღვდელოებას განსაკუთრებით გონებით განვითარების საქმეში. მაგრამ, ვაი იმ საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოებას, რომელსაც ბრმა ბედი არგუნებს ქარაფშუტა კაცს ბლაღოჩინად. ქარაფშუტა ბლაღოჩინი იწყებს ნიადაგ დონკიხოტობას დამხოლოდ თავის თავზე ფიქრობს; იგი ნიადაგ მაცადინობს, რომ თავის პირადი ინტერესები წინ დააყენოს და სამღვდელოებას კერპად გაუხდეს. სიტყვით და საქმით სცდილობს დაუმტკიცოს სამღვდელოებას რომ მის მოხსენებებს დიდ ყურადღებას აქცევს სასულიერო და საერო მართებლობა. ამასთან ნადვილად მაცადინობს, რომ კარგი განწყობილება დაიკაოს მწერლებთან და მდივნებთან, რომელთა წყალობით თავისი შუამდგომლობა კიდეც გააქვს ხოლმე, უკანონო და უაჯაოც რომ იყოს იგინი.

ეს სიტყვები უნებლიეთ მოგვაგონდა როცა წავიკითხეთ ერმალოზ კანდელაკის საბლაღოჩინო მღვდლების დადგენილება „შრომა“-ში; მოგვყავს ეს დადგენილება სიტყვა სიტყვით აქვე:

„10 ივლისს მოხდა კულაშის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოების კრება. კრებამ დაადგინა „1. გამოეცხადოს კულაში საბლაღოჩინოს ოლქის სამღვდელოების მხრით უგულითადესი მადლობა ეპისკოპოსს ლეონიდს მამაცურ და მედგარ ბრძოლისთვის ივერიის ეკკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებისა გამო; 2. გამოეცხადოს ზიზღი იმ სამღვდელო პირთ, რომელნიც გაგზავნილ „დანოსებით“ აფერხებენ საქართველოს ეკკლესიის თავისუფლების საქმეს; გამოეცხადოს გაფრთხილება იმერეთის სამღვდელოების რწმუნებულთ, რათა მათ იმოქმედონ ეპისკოპოს ლეონიდთან ერთად და არა პარტიულად, რადგან ყოველგვარ მათგან წამოყენებულ „პირად კინკლაობას“ შეუძლიან არა სასურველ წერტილამდის მიიყვანოს სურვილი სამღვდელოებისა ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ; გამოეცხადოს ზიზღი ყველა იმათ, რომელთაც სამღვდელოების შარშანდელ კრებაზე ქუთაისში იმდენი კადნიერება გამოიჩინეს, რომ ცუდის მხრით მოიხსენიეს ეპისკ. ლეონიდი; ახსოვდეთ ამ პირთ ის, რომ ინიციატივა და მეტი ღვაწლი ამ საქმეში მიუძღვის ეპისკ. ლეონიდს და მასთან ერთად არა მუშაობა იქნება ნამდვილი ღალატი ეკკლესიის წინაშე; ახსოვდეთ სამღვდელოების რწმუნებულთ, რომ მათთვის განცალკევებული მისსია არავის დაუვალებია, არამედ საქმის წინამსვლელობისთვის მჭიდროთ და ერთობლი ძალებით მოღვაწეობა და არა წვრილმანების გამოკიდება, რაც თავის-თავად ავტოკეფალიის მოპოვების შემდეგ გასწორდება; 3. სამუდამოდ მოისპოს ხალხისაგან ძალმომრეობით ფულის გადახდევინება, როგორც „დრამა“ სამღვდელოების სასარგებლოდ; 4. დაარსდეს საბჭო ახლად არჩეულ ბლაღოჩინის თავმჯდომარეობით და ორ იმის თანაშემწეებისაგან; საბლიღოჩინო კანცელარიის გამგეობა დაევალოს ბლაღოჩინს, მხოლოდ შინაგან საკითხების განხილვა და გადაწყვეტა ექვემდებარებოდეს მთელს საბჭოს; რთულის საკითხების გარჩევა და გადაწყვეტა წარედგინებოდეს ბლაღოჩინის საშვალებით ადგილობრივ მღვდელმთავარს; 5. ეთხოვოს ეპისკ. ლეონიდს, მიიღოს ყოველი საშუალება, რათა საეპარქიო სასწავლებელი მომავალ ენკენისთვიდან არ დაიხუროს; 6. მიეცეს მედავითნეებს შემოსავლიდან (ძლიერ მცირე შემოსავალია) მესამედი ნაწილი, მხოლოდ დაეკისროთ საბუთების წარმოება ქართულს ენაზე; 7· მიენდოს მომავალ წლიდანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო ჯამაგირის გამოტანა და დარიგება დეკანოზს ერმალოზ კანდელაკს; 8. ეთხოვოს ეპ. ლეონიდს ჭლძრას შუამდგომლობა, რათა გარდაცვალებულ მღ. სერგი კალაძის ცოლშვილს, სიღარიბეში მყოფს, თხუთმეტის წლის სამსახურისთვის დაენიშნოს ნაწილი პენსიისა; 9. სამღვდელოებამ ვერ დააკმაყოფილა სასულიერო სასწავლებლის წინადადება მოსამზადებელ კლასსების შესანახავად ფულით დახმარების შესახებ; 10. მოეთხოვოს სახაზინო კანტორას, დაუყონებლივ განაწილდეს ამ წელს სინოდის მიერ დანიშნული ჯამაგირი უჯამაგირო მღვდელთა შორის; გამოეცხადოს პროტესტი კანტორას, რადგან იგი აგვიანებს ჯამაგირების დროზე გაყოფას".

ეს დადგენილება არის შეთხზული თვით ბლაღოჩინის ერმალოზ კანდელაკისაგან და სამღვდელოებას ისე წაუკითხავად, მოუწერია ხელი მისი ხათრის და პატივისცემით. ერთ მღვდელს არ სცოდნია თუ, რაზედ აწერდა ხელს. საწყალი ჩვენი სამღვდელოება! იმდენი შეგნება არა აქვს, რომ მიხვდეს რა არის მისთვის სასარგებლო და რა არის საზარალო. რომ კულაშის საბლაღოჩინო სამღვდელოებას არ ესმოდა რაზედაც აწერდა ხელს იქიდან სჩანს, რომ ვერც ერთი მათგანი პასუხს ვერ მოგცემს თავის დადგენილებაზე...

კანდელაკი ელირსა დიდის მაცდინობით მზრუნველისაგან საღმრთო სჯულის მასწავლებლობას ქუთაისის გიმნაზიაში და ამის შემდეგ მას ბლაღოჩინობის თანამდებობის მიღება არ შეუძლია. მაგრამ ბლაღოჩინად ყოფის სურვილი მას ისე აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში, რომ სადაც უნდა წავიდეს მაინც უნდა დარჩეს კულაშის ბლაღოჩინად და იმანვე უნდა მიიღოს უთუოდ მღვდლების ჯამაგირი ხაზინიდან, აფოთაროს ამ ფულებში ხელი და შემდეგ დაურიგოს მათ!.. დღეს ყველა სამღვდელოებას მიეცა უფლება თვითონვე მიიღოს ჯამაგირი ხაზინიდან და საჭირო აღარ არის ბლაღოჩინის ლოცვა-კურთხევა, მაგრამ ბლაღოჩინი კანდელაკი ოსტატურად ახერხებს არ ჩამოერთვას მას ეს უფლება. ერმალოზ კანდელაკი ნამდვილ ბიუროკრატია. ვერ ნახავ მას ისე, რომ ქარვის კრიალოსანს არ ათამაშებდეს ხელში, მაგრამ შეძლება მაინც აქვს. მღვდლებს მოათხოვნინა რომ ქალების კლასი ქუთაისში უთუოდ გაიხსნას. რატომ? იმიტომ რომ ნათესავები ყავს იქ. ფულებს ადგენდა კანდელაკი ისე როგორც სხვა ბლაღოჩინები? სრულებით არა, პირიქით სხვის შემოტანილ ფულებს საჩუქრად აძლევინებდა სამღვდელოებას და ამით ყოყოჩობდა კიდეც!.. სამღვდელოების დეპუტატებმა გარდასწყვიტეს, რომ ქალების სკოლა უვარგისი პროგრამით დაიხუროსო. კანდელაკს ამბობენ ეს პროგრამა ძლიერ მოსწონს, იმის აზრით სლავიანურ ენაზედაც რომ ასწავლიდენ ჩვენ სკოლებში უკეთესი იქნებაო.

(გაგრძელება იქნება).

ჩვენი მოვალეობა ობლების შესახებ.

ქართველობამ მიაბარა ამას წინად შავს მიწას შავბნელი ძალების მსხვერპლი შიო ჩიტაძე, ნიჭიერი, განვითარებული და მხნე საზოგადო მოღვაწე. მიაბარა შესაბამის და ღირსეულის პატივით. ბევრი მგრძნობიარე წერილი დაიბეჭდა ქართულადაც და რუსულადაც, არა ერთი სიტყვა წარმოითქვა იმის ცხედრის წინაშე, მისი კუბო შეამკო მრავალმა გვირგვინმა.

მაგრამ ამით ქართველმა საზოგადოებამ შეასრულა მხოლოდ ერთი ნახევარი თავის მოვალეობისა, მეორე ნახევარი კი ელის თავისს რიგსა.

მე მოგახვენებთ განსვენებულის ობლების შესახებ. მას დარჩა ყმაწვილი მეუღლე და სამი მცირე წლოვანი შვილი. ქონება კი არა დარჩენია რა. და საიდან დარჩებოდა როდესაც იგი იყო შვილი ღარიბი ხელოსნისა და თვითონაც პირადად მასწავლებლის ჯამაგირით რას შეიძენდა!

დაობლებულის სახლობის გაჭირვებას აორკეცებს ერთი გარემოება. მისი ქვრივი ჩვენებური არ არის, იგი არის ასული მცირე რუსეთისა და ჩვენს ქვეყანაში ისე უნდა ჰგრძნობდეს თავს, როგორც უცხოეთში.

განსვენებულმა შიომ თავისი სიცოცხლე შესწირა ჩვენებურ სათავად-აზნაურო სასწავლებელს,

ქართველი თავად-აზნაურობა მოვალეა მსხვერპლის დაობლებულის სახლობა მიიჩნიოს თავისს ღვიძლ სახლობად და უზრუნველ ჰყოს იგა ყოველწლიურის პენსიის დანიშვნით და ობლების აღზრდით.

ჩვენს გამგე კომიტეტს სათავად-აზნაურო გიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზიისას არაფერი აბადია და ყოველი მისი ფინანსიური აღთქმა და დაპირება ნეტარხსენებულის ენუქას ანდერძს მოგაგონებთ. თავად-აზნაურობას კი აქვს დიდი ბანკი და დიდი ქარვასლა, რომელთა შემოსაელიდან პენსიასაც ადვილად დაუნიშნავს დაობლებულს სახლობას და მცირე წლოვანს ობლებსაც გამოზრდის, როგორც თავის სტიპენდიატებს, მხოლოდ გამგე კომიტეტი მოვალეა შესაბამი შუამდგომლობა აღძრას თავად-აზნაურობის წინაშე და აიძულოს, რომ პენსია დაენიშნოს. *) („შრომა“).

ჯარისა და ფლოტის აჯანყება.

დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა, რომ ფინლიანდიაში, ქალაქ ელსინგფორგში რუსის ჯარი და მეზღვაურნი აჯანყდნენ. ამას შეიარაღებული შეტაკება მოჰყვა მთავრობის მომხრეთა და აჯანყებულთა შორის. ჰელსინგფორსის წინ მაგარი ციხეა —სვეაბორგი. პირველად ამ ციხეში აჯანყდა სანაღმო როტა. ამთ მერე მეზღვაურნი და არტილერისტნიც მიემხრნენ. დღეკანდელმა დეპეშამ უფრო დაწვრილებით დეპეშა მოგვიტანა, ამიტომ ცალკე ვბეჭდავთ ამ დეპეშებს.

პირველი დეპეშა ჰელსინგფორსიდან გადმოგვცემს:

„საღამოს მეშვიდე საათზე ზღვიდან მოსულმა სამხედრო გემებმა „ცესარევიჩ“-მა და „ბოგატირ“-მა ყუმბარები დაუშინეს ფორტებს, რომელიც აჯანყებულებს ეჭირათ. პირველ ხანს აჯანყებულებმა პასუხი გასცეს, მაგრამ ყუმბარებს ვერ აწვდენდნენ. 9 საათზე სროლა შესწყვიტეს. შეამჩნიეს შლიუბკები. ამ შლიუბკებით ხალხი მიდიოდა იმ კუნძულებიდან, რომელსაც ყუმბარები დაუშინეს“

მეორე დეპეშა:

„20 ივლისს განახლდა სროლა. ციხიდან ქალაქში მოჰყავთ დაჭრილები. ციხის გარიზონს, რომელსაც არ უდალატნია, ქვეითა ჯარი მიაშველეს. თვით ჰელსინგფორსში წითელი გვარდია*) ღელავს. აჯანყებულ მეზღვაურთ ციხის არტილერიის ერთი ნაწილიც მიემხრო. როდესაც ამბოხების ჩასაქრობად ქალაქში ორი როტა შევიდა, მეამბოხენი გადავიდნენ სამ მახლობელ კუნძულზე, საიდანაც ღამე ციხეს თოფები და ზარბაზნები დაუშინეს. მეციხოვნეთ თავიანთ მხრივ პასუხი გასცეს. გუშინ დღისით სროლა შეჩერდა, მაგრამ მიმოსვლა შეწყვეტილია. ქალაქში ციხიდან გემით მოიყვანეს ქალები და ბავშვები. საქმის ვითარება ჯერ არ შეცვლილა. თუმცა მაშველი ჯარი გამრავლეს. ციხეში მოკლულ დაჭრილი ცოტაა. აჯანყებულთ უფრო დიდი ზარალი მოუვიდათ. ღამე სამხედრო ჰოსპიტალში ჭრილობისაგან გარდაიცვალა კრეისერ „ფინ“ ნის აფიცერი, მიჩმანი დელიეროონი, რომელმაც გუშინ სროლის დროს, სკატუდენში აჯანყებულთ წითელი დროშა გამოჰგლიჯა.“

მესამე დეპეშა:

19 ივლისს ჰელსინგფორში მუშებმა და წითელმა გვარდიამ განიზრახეს საყოველთაო გაფიცვის მოხდენა. მაგრამ ვერ მოახერხეს: გაფიცვა მხოლოდ აქა-იქაა, მაგრამ ქალაქი მაინც არა წყნარდება. საზოგადო დაწესებულებანი ჩვეულებრივ მოქმედებენ. ამ დღეს სამი სამხედრო რაზმი მოვიდა. მოსამართლეებმა მოითხოვეს 11 კერძო კაცის სასყრობილეში დაპატიმრება. ესენი ჰაუტვახტზე არიან და დაიპირეს იარაღით ხელში ნავთსადგურის ამბოხების ჩაქრობის დროს. სისხლის სამართალი აღძრეს იმათ წინააღმდეგ, ვინც გააფუჭეს ტელეგრაფი, რკინის გზის ლიანდაგი, ხელთ ჩაიგდეს ორთქლ-მავალები და ვაგონები. წუხელაც წაახდინეს რამდენსამე ადგილას ტელეგრაფი და რკინის გზა. გუშინ გაფუჭებული ფზა ჯარმა შეაკეთა. მთავარ ლიანდაგზედაც შეაკეთეს გზა, მხოლოდ ხალახსტთან მატარებლიდან მატარებელში ფეხით გადასვლაა საჭირო. ქალაქში დღესაც აფუჭებენ ტელეგრაფს“.

მეოთხე დეპეშა:

„წითელმა გვარდიამ ვერ მოახერხა საყოველთაო გაფიცვა და ეხლა ძალმომრეობას მიმართა. ჰელსინგფორსში დაიწყო ბრძოლა წითელ გვარდიისა, პოლიციის და კომუნალურ რაზმს შორის. გაიწვიეს ჯარი“.

მეხუთე დეპეშა:

„მე-22 კორპუსის უმფროსი ბარონი ზალცა

*) თუ თავად აზნაურობამ მდიდარ თავადს ი. გ ბაგრატიონ-ავაძეს ხუთი ათასი მანეთი დაუნიშნა პენსიად ნუ თუ ორი ათას მანეთს არ დაუნიშნავს ასე ტრაგიკულად დაღუპულს ოჯახობას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ეს კორპუსი ფინლიანდიაში სდგას) დეპეშით იუწყება: სვეაბორგში ამბოხება ჩავაქრეთ. მეამბოხენი დავაპატიმრეთ დაპატიმრებულებს შორის ბევრი გარეშეც არის".

სვეაბორგისა და ჰელსინგფორსის აჯანყებას ზედ დაერთო კრონშტადტის ჯარის აჯანყებაც. ამის შესახებაც დღევანდელი დეპეშები ბევრ რამეს გადმოგვცემენ.

პირველი დეპეშა:

„19 ივლისს, ასე შუაღამის დასაწყისს, არეულობამ იფეთქა კრონშტადტში- ფლოტის მეოთხე „ეკიპაჟის" მატროსებმა ჩაიცვეს შავი კურტკები, დაავლეს თოფებს ხელი, გამოვარდნენ ყაზარმებიდან და დაიწყეს თოფების სროლა ჰაერში. შემდეგ შეუერთდნენ მუშებსა და სხვა გარეშე პირთ, რომელთა რიცხვში ქალებიც იყვნენ და დაიძრნენ ნავთსადგურის უფროსის სადგომისაკენ. ჩქარა გამოიწვიეს ქვეითა ჯარის კაცები, რომელთაც სროლით გაჰფანტეს მატროსები პავლოვის ქუჩაზე. მაგრამ ამავე დროს სხვა მატროსებს შორისაც დაიწყო არეულობა. მატროსებმა იწყეს გარედ თავის მოყრა, მაგრამ იგინი დაიყოლიეს ყაზარმებში დაბრუნებულიყვნენ. ამასობაში ხელახლა მოიყარეს თავი ყველაზე პირველად გამოსულმა მატროსებმა და გარეშეებთან ერთად მივარდენ არსენალს, სადაც უნდოდათ კარები შეემტვრიათ და იარაღი ჩაეგდოთ ხელში, მგრამ ტყვიის მტყორცნელებით გარეკეს ყველანი. მატროსებმა კიდევ მოიყარეს თავი, გაემართნენ „კონსტანტინ"-ის ფორტისაკენ, სადაც უკვე ფრიალებდა წიშელი დროშა და დაიჭირეს ეს ფორტი. „კონსტანტინი"-ს ფორტს თოფები დაუშინეს. პირისპირი სროლა დილის 5 საათამდე გაგრძელდა და ექვსის ნახევარზე მეამბოხეთ დაჰყარეს იარაღი. მატროსებთანა და გარეშე პირებთან შეტაკების დროს მეამბოხეებმა ბრაუნინგებით მოჰკლეს პირველი რანგის კაპიტანი როდიონოვი, მეორე რანგის კაპიტნები დობროვოლსკი და შუმოვი და შტაბს-კაპიტანი სტოიანოვსკი. დასჭრეს კონტრ-ადმირალი ბეკლემიშევი—ხიშტით ზურგსა და მკერდში, მეორე რანგის კაპიტნები კრინიცკი და პატტონი და მიჩმანი მალცევი—ტყვიით. დილით აღადგინეს წესიერება. მოვიდა ფიანლიანდიის პოლკი. დამნაშავეთ იჭერენ".

ჟურნალ-გაზეთებიდან

სათათბიროს დათხოვნის წინადღეს. 6 ივლისს, როდესაც სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის აქტის ხელის მოწერა მოხდა, ტრეპოვი თურმე სასახლის შიდა დარბაზებს არ მოშორებია. იგი განუწყვეტლივ იღებდა და გზავნიდა შიფრიან დეპეშებს ბერლინსა და პარიზში. ამ აქტის ხელის მოწერის წინა დღეს პოლიცია და შავრაზმელები უკვე რაღაცას ამზადებდნენ. თურმე რაღაც საეჭვო დემონსტრაცია მომხდარა პეტერბურგში წითელის დროშებით, რომელსაც პოლიციელნი და მეეზოვენი შეერთებიან. 6 ივლისს სახელმწიფო სათათბიროს დარბაზში უკვე ლაპარაკობდნენ სათათბიროს დათხოვნის განზრახვის შესახებ. გენერალ ტრეპოვს გენერალ კოზლოვის მოკვლის შემდეგ ხელახლა მოუპოვებია გავლენა სასახლის წრეებში, ისე, რომ ყოველივე ხმა ტრეპოვის სამსახურიდან გადადგომის შესახებ, ტყუილია. ტრეპოვი ხელახლად შესდგომია სასახლისა და პეტერგოფის დამცველ პოლიციის მოწყობას. ბევრისთვის ტრეპოვს შენიშვნაც მიუცია უყურადღებო სამსახურისთვის და ზოგნი დაუთხოვნია კიდეც. ალბად სათათბიროს დათხოვნაც უმთავრესად ტრეპოვის პარტიის საქმე იქნება.

* * *

რუსეთის საზოგადოებასთან ერთად მთელი ევროპა განცვიფრებული და აღშფოთებულია რუსეთის მთავრობის უკანასკნე მოქმედბისლ გამო. ევროპის უზომიერესი გაზეთებიც კი ჰკიცხავენ მთავრობას სათათბიროს დათხოვნის გამო და რუსეთის იმპერიას საშინელ უბედურებას უქადიან. გერმანული „ბერლინერ ტაგებლატ"ი, გერმანიის მსხვილ ბურჟუაზიის ორგანო, სწერს;

„რამდენიმე დღეა ცნობილი იყო,. რომ რუსეთში დიდი ამბები მოხდებოდა. მაგრამ ასეთ ბოლოსა და ასეთ გადაწყვეტილებას არავინ არ მოელოდა, მით უფრო, რომ აგრარულ საკითხზე კამათის დროს ახალგაზდა პარლამენტში ზომიერმა მიმართულებამ გაიმარჯვა, შეიძლება სათათბიროს დათხოვნა არ ყოფილიყო ასე დიდ მნიშვნელოვანი და ძლიერ სერიოზულ შედეგიანი, რომ უმაღლეს ბრძანების ტექსტიდანა და იმ პირობებიდან, რომლებშიაც ეს ბრძანება გამოიცა და ასრულდა, არ გამოდიოდეს, რომ ეხლანდელ დეპუტატების დათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვნაზე კი არ არის საქმე, არამედ სახალხო წარმომადგენლობის სრულ გაუქმებაზე. მხოლოდ ამ გვარად შეიძლება აიხსნას ის დიდი ვადა, რომელიც დანიშნულია ახალ სათათბიროს მოწვევისათვის. მდგომარეობა ყოველ შემთხვევაში მეტად რთულია. იმპერიის ყოველ კუთხიდან მოდის ცნობები, რომ რუსეთი ეხლა იმავ მდგომარეობაშია, რომელმა მდგომარეობამაც აიძულა მთავრობა 17 ოქტომბრის მანიფესტი გამოეცა. ამ დროს ასეთ ნაბიჯის გადადგმა (სათათბიროს დათხოვნა) ნიშნავს საშიშ თამაშის დაწყებას.

ფრანგული გაზეთი „ტან".ი, რომელმაც კადეტების „რევოლიუციონურ" ტაქტიკის გაკიცხვით თავი ისახელა და გრინგმუტს ამოუდგა გვერდით, მეტის სიმკაცრით ეპყრობოდა ეხლა რუსეთის მთავრობას.

„მთავრობის პასუხის მგებლობა უზარმაზარია. ყოველი მიუდგომელი განმსჯბლი ეხლანდელ მდგომარეობისა იტყვის, რომ გაქარწყლდა იმედი მშვიდობიანობისა, პასუხის მგებელი სათათბიროს უმრავლესობა არ არის... რადგან მთავრობამ ვერ გაუძლო ახალ და მცხოველმყოფელ რეჟიმის განხორციელების სიძნელეს, მთელი სახელმწიფო ჩააგდო კრიზისში. რა იქნება ამ კრიზისის ბოლო, შეუძლებელია ეხლა წარმოვიდგინოთ.

სათათბიროს დათხოვნისათანავე მთავრობა ყოველგან და განსაკუთრებით პეტერბურგში დიდ სამხედრო სამზადისს შეუდგა. ცხადია, მთავრობამ კარგად იცოდა, რომ სათათბიროს დათხოვნა დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა ხალხში და მოსალოდნელ მოძრაობის წინაალმდეგ წინდა-წინვე მიიღო საჭირო ღონისძიებანი. მაგრამ თითქოს მთავრობის მოლოდინი არ გამართლდა: ჯერ-ჯერობით ყველგან შედარებით სიწყნარეა. ამ სიწყნარემ საზოგადოების ერთი ნაწილიც შეაფიქრიანა—აღარ ყოფილა ძალა და ენერგია და მთავრობის იერიშს ხალხი პასუხს არ აძლევსო. მაგრამ ეხლანდელი მშვიდობიანობა არის მშვიდობიანობა ქარიშხალის წინ. უნდა გვახსოვდეს, რომ

„მეტად საშიში და მავნებელია პირველ გრძნობის აყოლა, განცალკევებული მოქმედება". ეხლა ძალას იკრეფენ, ორგანიზაციებს იწყობენ, რომ მოსკოვისებური ამბები არ განმეორდეს.

*
* *

ქართველი დეპუტატები სათათბიროში. მთელი განათლებული რუსეთი, საზოგადოდ, და სახელმწიფო სათათბირო, კერძოდ, მოუთმენლად მოელოდდა ქართველ დეპუტატების ჩასვლას პეტერბურგში. არც საკვირველია. ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში ქართველმა ხალხმა ისეთი მხურვალე მონაწილეობა მიიღო განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იმდონად დიდი მსხვერპლი შესწირა რუსეთის რევოლიუციას, რომ ყველას სულითა და გულით უნდოდა ამ ერის წარმომადგენელთა ნახვა, იმათი სიტყვების მოსმენა.

ჩვენ გვინდა გავაცნოთ მკითხველს რუსეთის პროგრესიულ პრესსის აზრი ჩვენ დეპუტატების შესახებ, აზრი ისეთის გაზეთებისა, როგორიც არის „ნაშა ჟიზნი", „რუსკ. ვედომოსტი", „რუს. სლოვო", „სტრანა" და სხვ. ეს გაზეთები პირველ ხანებში ძალიან ბევრს მოელოდნენ ქართველ ს.-დემოკრატ დეპუტატებისაგან, მაგრამ არ გასულა ბევრი დრო, რომ ყველამ განაცხადა, იმედი არ გაგვიმართლდაო. როგორც ვიცით, ჩვენმა დეპუტატებმა (ბარათაშვილს გარდა) იკისრეს ს.-დემოკრატიულ ფრაქციის შედგენა და ამ ფრაქციის მეთაურობა. აი, სწორედ აქ, ამ როლში სცნეს სუსტად ჩვენი სოც..დემოკრატები. ზემოხსენებული გაზეთები თითქმის ერთხმად გაიძახიან, რომ ამ როლისთვის ქართველ დეპუტატებს არ შესწევთ არც ნიჭი, არც ცოდნა და არც მჭერმეტყველობაო. „ნაშა ჟიზნ".მ რამიშვილის მეორე სიტყვის გამო განაცხადა, რომ იგი „მიტინგის ორატორია, აზრიც სამიტინგო აქვს, კილოც და რეზოლიუციაცაო". რა თქმა უნდა, მიტინგის ორატორობა არც სათაკილოა და არც საძრახისი, მაგრამ პარლამენტში, სადაც დიდი ცოდნითა და ნიჭით აღჭურვილ მოწინააღმდეგეებთანა აქვთ საქმე, ასეთი თვისებები დეპუტატისთვის, მით უმეტეს მეთაურისა და წინამძღოლისთვის, საკმაო არ არის. ბევრი გაზეთი სწუხს, რომ რუსეთში ს.-დემოკრატიამ მონაწილეობა არ მიიღო არჩევნებში და არ გაიყვანა ისეთი წარმომადგენელნი, რომელნიც ღირსეულად გაუძღვებოდნენ ფრაქციას და არც ცოდნით, და არც მჭევრმეტყველობით არ ჩამოუვარდებოდნენ სხვა პარტიების წარმომადგენელთ.

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ერთი რამ არის, რაც ნიშნობლივ თვისებას შეადგენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებურ სოც.-დემოკრატიისას და რაც არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენს გაზეთში. ეს გახლავთ დემაგოგია. ჩვენ სოც.-დემოკრატებს ისე აქვთ ეს თვისება გამჯდარი ძვალსა და რბილში, რომ იმის საუკეთესო წარმომადგენელთ იგი სათათბიროშიაც-კი ვერ მოუშორებიათ. მთელ სათათბიროში პრესსამ ეს თვისება მარტო ქართველ სოც.-დემოკრატ დეპუტატებში აღმოაჩინა. საკმაო იყო პირველი სიტყვები, რომ გაზეთებს დაესახათ, ქართველი დეპუტატები საუკეთესო დემაგოგები არიანო. ქართველ სოც.-დემოკრატთა დეპუტატების პირველ ორატორის ბ-ნ რამიშვილის თვალში ყველაფერი და ყოველივე ს.-დემოკრატია და პროლეტარიატია. ამათ გარეშე ცხოვრება არ არის, პირველად ამათ ამოიღეს ხმა, ამათ დასცეს რუსეთის თვითმპყრობელობა, ამათ და მხოლოდ ამათ შესწირეს თავი განთავისუფლების საქმე's და სხვა დი სხვა. ასეთი სიტყვები, ეჭვი არ არის, დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს გაუნათლებელ ხალხზე, რომელმაც არც წარსული იცის კარგად და არც აწმყო ვითარება, ხოლო იქ, სათათბიროში, სადაც ისტორიისა და დღევანდელ ცხოვრების საუკეთესო მცოდნენი არიან, გავლენას ვერ იქონიებს. სამართლიანად შენიშნავს „რუს. ვედ.“, რომ სოც.-დემოკრატია და პროლეტარიატი პირველნი არ იყვნენ, რომელთაც ბრძოლა გამოუცხადეს ძველ რეჟიმს. პროლეტარიატს სადათის ძილით ეძინა, ხოლო სოც.-დემოკრატიის ხსენება არც-კი სადმე იყო, როდესაც რუსეთის საუკეთესო შვილნი ათასობით სწირავდენ თავს ძველ რეჟიმთან ბრძოლაში.

აი, როგორ აგვიწერს რამიშვილის და ჟორდანიას უკანასკნელ სიტყვებს „რუს. ვედომ.“ „რამიშვილმა წარმოსთქვა დიდი და მსმენელთა მეტად დამღლელი სიტყვა. ილაპარაკა კანონ-პროექტის წინააღმდეგ კლასიურ თვალთა ხედვის მხრივ. „რუსის ხალხი,—სთქვა მან, სხვათა შორის,—მოითხოვს იმაზე მეტ თავისუფლებას, რომელიც საფრანგეთშია. ამიტომ თუ დასავლეთი ევროპა მომხრეა ამ კანონ-პროექტისა, მე ვიტყვი. საჭიროა მეტი დემოკრატიზმი და თავისუფლება“. შემდეგ რამიშვილმა წაიკითხა დეპეშა 12 ათას მეზღვაურისა, რომელნიც უჩივიან ადმინისტრატიულ თვითნებობას და კავშირის დევნას. როდესაც მეორე დეპეშას კითხულობდა, განსაკუთრებით სცდილობდა იმის აღნიშვნას, რომ ს.-დემოკრატებს მოსკოვის მუშებმაც-კი მიჰმართეს. შემდეგ წაიკითხა სხვა დეპეშებიც. დეპუტატები გულისყურს ვერ უდებდნენ, ზოგი რჩეობდა ეკატერინეს ზალაში სეირნობას. რამიშვილი ნახევრად ცარიელ დარბაზის წინაშე ლაპარაკობდა... მას (რამიშვილს) ამდენ დეპეშების წაკითხვა დასჭირდა იმისთვის, რათა დაემტკიცებინა, რომ ს.-დემოკრატები თავიანთ ტაქტიკით ხალხის თვალში არ ეცემიან...“ „შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა კავკასიის მეორე დეპუტატი ჟორდანია, რომელსაც ს.-დემოკრატიულ ჯგუფის წინამძღოლად ასახელებენ, მაგრამ იმისი დებიუტი ვერ იყო მაგრე რიგად გულის მომგები.“ და სხვა.

მეორე გაზეთი „რუს. სლოვო“ ასე აგვიწერს: „დიდხანს და გრძლად ილაპარაკა ბ-მა რამიშვილმა. იგი თითქოს კითხულობდა დაუსრულებელ ლოცვას, ამასთან გალობით და პათეთიურის გამოძახილით... კრებას მოთმინება დაეკარგა. ისმოდა „კმარა“, მაგრამ რამიშვილი მაინც კითხულობდა გრძელ განცხადებებს. იქ, სადაც განცხადებებში დამფუძნებელ კრებაზე იყო ლაპარაკი, თავ. დოლგორუკი სიტყვას აწყვეტინებდა, ორატორი სცდილობდა პროტესტის გამოცხადებას. მერე ისევ განაგძობდა კითხვას. შემდეგ რამიშვილი შეუდგა გრაფ გეიდენის სიტყვის კრიტიკას.

„—ქვევიდგან მოდის, იძვრის პროლეტარიატი!—მღეროდა ორატორი.—აი, მოდის!.. მოვიდა კიდეც!.. გრაფ, მიიხედეთ!.. გრაფ, თვალი მოავლეთ!

„ორატორი ისე მალ-მალ წამოიძახებდა ხოლმე სიტყვა გრაფს, რომ გრ. გეიდენმა ბანი მისცა.

„—მე ყურს გიგდებთ!—შენიშნა გრაფმა, რამაც საერთო სიცილი და ტაშის ცემა გამოიწვია.

„ბოლოს რამიშვილმა გაათავა. იმისი ადგილი დაიჭირა კავკასიის მეორე დეპუტატმა—ბ-ნმა ჟორდანიამ. „ხალხი მოდის“, „ხალხი აიღებს“, „ხალხი გვიჩვენებს“ და სხვა—გაიძახის ორატორი სხვა და სხვა ვარიაციებს იმავე თემაზე“.

ამ დღეს კამათი იყო კადეტების მიერ შემუშავებულ იმ კანო-პროექტის გამო, რომელიც კრების თავისუფლებას შეეხება. ილაპარაკეს მშრომელთა ჯგუფის სხვა ორატორებმაც (ბრანსონმა, ბარათაშვილმა, გალეცკიმ და სხვებმა) და თავიანთ სიტყვებში ის აზრი გაატარეს და სძორედ ივივე მოითხოვეს, რაც რამიშვილმა და ჟორდანიამ, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც პროლეტარიატი შეაწუხეს და არც ხალხი, როგორც ესა ჰქმნეს, სოც.-დემოკრატიულ პარტიის განსადიდებლად, ზემოხსენებულმა ჩვენებურმა ორატორებმა. საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე არც ერთი ისეთი საკითხი არ აღძრულა სათათბიროში, რომლის გამოც მშრომელთა ჯგუფს და ს.-დემოკრატიულ ფრაქციას სხვა და სხვა აზრი გამოეთქვას, ან ამ უკანასკნელს თავისი ნათქვამი უკედ დაესაბუთებინოს. მაგრამ ფრაქციის ორატორები მაინც მუდამ ჟამს სცდილობენ აჩვენონ ქვეყანას, რომ სოც.-დემოკრატიაა რაც არის, რომ მხოლოდ იმისი წარმომადგენელნი ებრძვიან მთავრობას, ისინი არიან უკიდურესი მემარცხენენი და სხვა...

რუსის პრესსამ იმ გარემოებასაც მიაქცია ყურადღება, რომ ქართველი დეპუტატები ყოველთვის „რუსის ხალხის“ სახელით ლაპარაკობენ, თითქოს ეშინიანთ, არ გაიგონ, რომ ქართველები ვართ და არ გაგვიკცხონ ამისთვისაო.

გაზეთებში დაბეჭდილია ჩვენებურ ს.-დემოკრატებთან ნალაპარაკევიც. ერთის გაზეთის თანამშრომელისთვის სიმონ წერეთელს გადაჭრით უთქვამს, რომ საქართველოსთვის და, საზოგადოდ, კავკასიისთვის ავტონომია საჭირო არ არის და არც არავინ თხოულობსო. პეტერბურგში მოლვაწეობა ამ დეპუტატისა, როგორც ჰხედავთ, ავტონომიის უარ-ყოფით დაიწყო. მაგრამ არა, ბ-ნი წერეთელი უარს ყოფს ავტონომიას მარტო ჩვენთვის, ქართველებისთვის, თორემ სხვისთვის სულაც არა შურს. იმავ თანამშრომლისთვის წერეთელს განუცხადებია, რომ პოლონეთის ავტონომიას დიდი სიამოვნებით დავუჭერთ მხარს, პოლონეთს კავკასიაში ყველა იცნობს და იცის, რომ იმისთვის ავტონომია საჭიროაო. ამ რიგად, რუსეთის იმპერიაში ერთი ერისთვის ავტონომია საჭირო არ არის, ხოლო მეორისთვის- საჭიროა. ერთგან იგი პროლეტარიატს „დაანაწილებს“, „გათიშავს“, მეორეგან კი არა. ასეთია ლოგიკა ამ ბრძენ დეპუტატისა. ან იქნება ბ-ნი დეპუტატი, ეხლანდელი „წარმომადგენელი მთელი რუსის ხალხისა“, ხოლო წინანდელი ავტოკეფალისტი და ეკლესიის მსახური იმიტომ არის ავტონომიის წინააღმდეგი, რომ სოც.-ფედერალისტების „ჯავრი ამოიყაროს“? რატომ, ესეც შესაძლებელია.

დასასრულ, მოვიყვანთ მაქსიმ კოვალევსკის გაზეთის „სტრანა“,ს ერთ თანამშრომლის აზრს ჩვენ სოციალდემოკრატ დეპუტატების შესახებ:

„მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ხუთ სოც.-დემოკატზე. გაზეთსა და ლაპარაკში ამათ ხშირად „კავკასიელების“ სახელით ნათლავენ. მაგრამ იგი სინამდვილეს არა ხატავს: ავიწყდებათ, რომ მთელ კავკასიაში სოც.-დემოკრატები აირჩიეს მარტო საქართველოში. მათი წარმატება რამდენადმე გასაგებია თუ გავითვალისწინებთ ქართველ საზოგადოების ამ უკანასკნელ 10—15 წლის ისტორიას. მაგრამ თავი გავანებოთ ჯერ-ჯერობით ამ ისტორიას და შევეხოთ კოლხიდის წარმომადგენლებს იმ მხრივ, რა მხრივაც მათ თავი იჩინეს. დავიწყოთ იქიდან, რომ აქ, პეტერბურგში ისინი დაჩვეულ ბუნებრივ სტიქიაში არ არიან; დეპუტატ რამიშვილს, მაგალითად, დიდი სახელი აქვს გავარდნილი, როგორც მხნე და აღზნებულ ორატორს ქართულ ენაზე. არა ერთხელ შემთხვეევა მას ლაპარაკი „ქვიდან მდინარის ნაპირას“, ტყეებში, „ღრეებში“ და რომანტიულ მოწყობილებაში. მაგრამ ეს კაცი, რომელიც სარწმუნოებრივ ფანატიკოსის სულით არის დაჯილდოვებული, საცოდავია კანონმდებლის როლში, რაშიაც ვგონებ, თითონაც მზათ არის გამოტყდეს.

„ტყუილად იმიზეზებს რამიშვილი „ზრდილობიან აღზრდის“ უქონლობას, როგორც საერთო თვისებას თავის ამხანაგებისას. არც კი სჩანს ნათლად, ვისზედ ამბობს ამას. თვითონ რამიშვილი, ხევებში სიარულის გარდა, კარგა ხანს სკოლის მასწავლებლად იყო ქალაქში. იმის ამხანაგთა და თანამემამულეთაგან ფრაქციაში ბ-ნთ ჯაფარიძეს და გომართელს უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული (ერთი იურისტია, ხოლო მეორე ექიმი). საზოგადოდ, ვინც კი ქართველ ხალხს იცნობს, იცის, რომ ცოტად თუ ბევრად „აღზრდას და ზრდილობას ეს ხალხი არ არის მოკლებული. ამიტომ ვფიქრობთ, რომ რამიშვილის სიტყვები— „ზრდილობიან აღზრდას მოკლებულნი ვართო“ განგებ წამოსროლილი სიტყვებია, ამასთან ისეთი, რომელიც ამტკიცებს, რომ მთქმელს ცუდი გემოვნება აქვს.

„რაც შეეხება ქართველთა მეორე თვისებას, —სიმამაცეს, ამით უხვად არიან დაჯილდოვებულნი ქართველი სოც.-დემოკრატი დეპუტატები: ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიხიანად ლაპარაკობენ მთელის რუსის ხალხის სახელით... თუმცა ეჭვიც-კი გვებადება იმაზედ, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალნენ ეს დეპუტატები სახელმწიფოს იმ ნაწილების წარმომადგენლებად, სადაც არჩეულ იქმნენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხალხს აშკარად აზის ბეჭედი იმისა, რომ ისინი საქართველოს შვილები არიან. ჩვენ თვალწინ არის ის, რაც დამახასიათებელია იმ პირობებისა, რომელშიაც საქართველო სცხოვრობს—ერთმანეთში არეულია ეროვნული ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ეთნოგრაფიული სხვადასხვაობა და რუსეთის—საუნივერსიტეტო გინდა სასემინარიო—რადიკალიზმი.

„მიუხედავათ ამისა ხსენებულმა დეპუტატებმა თავიანთ სიტყვებში ნათლად და გარკვევით არ აღნიშნეს ის კონკრეტული ინტერესები, რომლითაც სცხოვრობს მათი კუთხე, ის საჭიროებანი, რომელნიც მომწიფდა ამ კუთხის ცხოვრებაში. „ბიუროკრატია", „რეჟიმი", „ხულიგანები" „ჯაშუშები"—იმეორებენ ამ უკვე საკმაოდ მობეზრებულ ფრაზეოლოგიას. ერთი ვიკითხოთ, რის „ზედნაშენია" (надстройка) ყველა ეს? ნუ თუ ქართველთა ეკონომიურ ურთიერთობის „შენობისა"? ან იქნება იგი ზედნაშენ უცოდინელობისა და უღონობის შენობისა? ამ კითხვაზე მალე გავიგონებთ საბოლოო პასუხს.

„შემთხვევით ქართველმა სოც.-დემოკრატებმა იტვირთეს სათათბიროში ისეთი როლი რომლისთვისა მათ ღონე არ შესწევთ. ღონე არ შესწევთ კიდევ იმიტომ, რომ შინ, სამშობლოში, საქმის ვითარების გამო, ისინი უფრო მისდევდნენ დემოგოგიას და იმ გულ-უბრყვილო ხალხის ახალ სარწმუნოებაზე მოქცევას, რომლის გულიც პირველად გაიხსნა სოციალიზმის ქადაგებისათვის, ვიდრე ისეთ მოღვაწეობას, რომელიც აძლევს ცოდნას და გამოცდილებას საპარლამენტო, თუნდაც პარტიულ ბრძოლისათვის.

„არსად ისე არ უღეჭნიათ საზოგადო ადგილები კარლ მარქსის მოძღვრებისა, როგორც საქართველოში, და არსად ისე ცოტა არ გაუკეთებიათ თანამედროვე ეკონომიურ საკითხების მეცნიერულად გამოკვლევისთვის, როგორც იმავ საქართველოში. და ეს თავისებური თვისებები ქართველ სოც.-დემოკრატებისა „ნატურალურ მეურნეობას" (რომელიც ვითომ ჯერ კიდევ ბატონობს კავკასიაში) კი არ უნდა დავაბრალოთ, არამედ იმას, რომ საქართველო მოკლებულია კულტურულ დაწესებულებებს—ნამდვილ სკოლას, ცოტად თუ ბევრად ხეირიან ადმინისტრაციას და მეურნეობით კულტურას, ესეიგი მოქალაქობრივ ცხოვრების იმ პირობებს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ცოტად თუ ბევრად სერიოზული სოციალიზმი".

მეცნიერ კაცთა გონების სალაროდან.

სთქვეს: შეიმოსე ზნეობა და გონება და არა ჭიანი ხორცი, თუ გსურს დღე-გრძელ იყო.

—

საქმით უფროსობა უნდა ებაროს ხელოვანსა და გონიერ კაცს და არა უხელოვნოსა, უთაოსა და უმეტესად უგულოსა.

—

ფუტკარი მწარედ იკბინება, მაგრამ ტკბილს გოლვილს გვიმზადებს; ორპირი კაცი კი რომ შეგვხვდება, გვიცინის და როცა გაგვისტუმრებს, ღრმა ორმოს გვითხრის.

—

ის ბრძენი არ იქნება, თუ ბრძენთა პატივისმცემელი არ არის.

—

თავი იმიტომ არის თავსა, რომ ითაოსნოს და ითავადოს.

—

ისეთი უნდა იყო, რომ გარემოს შენსა მორგო წალკოტი მეცნიერებისა, ქველობისა და სახიერებისა.

—

კარგი წიგნი სახნისია გონების განმაბრწყინვებელი.

—

კაცო მედგარო! ბედსა შენსა ნუ მოიშლი. უბედო არც ჭიანჭველია. იგი ნიადაგ მასწორებელი და მალამაზებელია თავისი საყოფელისა.

—

როგორც უთოლო თითები მუშაკობენ შეწყობილად, ისე დიდებმა წვრილ კაცებთან ერთად პირიანად იღვაწონ, თუ სურთ მამულის გადიდება.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონიერო! ყოველ დღე მოვლე მამული შენი და აღჭერ ჰიანნი და გამხმარნი რტონი სანერგეთა შენთანი.

—

კეთილს ნუ მოელის ქვეყანა, თუ მის მმართველად სულელი და თავისი თავის ბრძნად მიმჩნეველია.

—

კაცის თვალთა ხედვა გამომეტყველია მისის გულისა და სულისა.

—

როცა რაიმე აზრი დაგებადება, შვიდჯერ გადააბრუნე, შვიდჯერ გადმოაბრუნე, შვიდჯერ განიჭვრიტე, შვიდჯერ გაჩარხე და მერე ამოუშვი ბაგეთაგან (პირისაგან.)

—

საცოდავნი არიან ისინი, რომელნიც ეჭიდებიან მათს შეუფერებელს საქმეს.

—

უსინდისო კაცი და მტაცებელი მხეცი ერთია, მხოლოდ იმითი განსხვავდებიან, რომ პირველი ღვთის ხატებაა და მეორე კი ოთხფეხი პირუტყვი.

—

ბრძენი ის კი არ არის, ვინც ბრძნულად მეტყველებს, არამედ ის, რომელიც ბრძნულად სიტყვაობს და ბრძნულადაც იქცევა.

—

ცბიერი და გულფშუტა მეგობარი, როცა ამაღლდება, აღარ გიმეგობრებს.

—

სულ-მოკლე სულ გრძელს ეუბნებოდა: „გულს მიწყლავს შენი სულ-მოკლეობაო.“

სოფელსა ამას უნდა ნათობდე არა ციცინათელასავით იალ-კიალადა (ესეიგი ხან ნათობდე და ხან არა), არამედ ლამპარსავით დაუშრეტელად.

—

შუშუტა კაცი ფოლოცს (შარა გზაზე) იდგა და ღრიალებდა: “მე ყველაზე ჭკვიანი ვარო.“

გაუტანელს კაცზე ასრე იტყვიან. „ხატი აქვს კაცისაო, სული ტარტაროზისაო.“

—

ცუნდრუკასა და შურიან კაცს მოყვასის საქმიანობა გულს უკლავს.

—

ამბავნი კეთილთა და ღვაწლ-მოსილ კაცთა მისალბუნებენ, მატკბობენ და აღმამაღლებენ. თუ ბევრის ცოდნითა ხარ დაჯერებული, დაგეხშება კარი მეცნიერებისა.

—

ალმასივივით მჭრელი ენა მჭევრ-მეტყველისა ვერ გაჰკვეთს ბრიყვის გაქაჯებულს გულსა.

—

ზოგისა აზრი ფუყეა, მაგრამ სიტყვა-კი მორთული და მოკაზმული.

—

როცა კაცი დაცუნცულებს, ძვრება და გადიგამოდის ამა თუ იმათსას, იგი გამოშტერებულია და მისი საქმეც უსარგებლოა მოყვასთათვის.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** ქართულ გიმნაზიის სადგომი პეტრე დიდის ქუჩაზე 4 ივლისის აკლების შემდეგ ჯარმა დაიჭირა. გიმნაზიის გამგე კომიტეტმა აცნობა სახლის პატრონს, რადგან შენობა ჯარმა დაიჭირა გიმნაზია შემოდგომიდან სხვა შენობაში გადავა, ამიტომ თქვენი შენობა ჩაიბარეთო. კომიტეტს უნდა გამოარკვიოს, რა ზარალი მოუვიდა გიმნაზიას 4 ივლისის აკლების დროს.

*** შინაგან საქმეთა მინისტრს გუბერნატორებისთვის შემდეგი საიდუმლო ცირკულიარი დაუგზავნია: „დღევანდელი პოლიტიკური კრიზისი ვალად სდებს გუბერნიის უმაღლეს მმართველებს, რევოლიუციონურ მოძრაობის ჩასაქრობად, რაც შეიძლება სასტიკი ზომები მიიღონ ხოლმე. საგუბერნიო ადმინისტრაციამ ყოველი ღონის-ძიება უნდა იხმაროს, რომ მთავრობის საწინააღმდეგო კრებები და მიტინგები არ გაიმართოს. რომ საქმე უფრო ნაყოფიერად მოეწყოს, იმ ადგილში, სადაც რევოლიუციონურ მოძრაობას ღრმათა აქვს ფესვები გადგმული, უნდა დაინიშნოს განსაკუთრებული შტატი პოლიციისა, რომელსაც საეჭვო პირების თვალ-ყურის დევნა დაევალება. მოძრაობის ჩასაქრობად საგუბერნიო ადმინისტრაციას შეუძლიან შემდეგ ზომებს მიმართოს: 1. განდევნოს გუბერნიის საზღვრებიდან არა საიმედო პირები; 2. დაატუსაღოს ისეთი პირები, რომელნიც ამა თუ იმ სარევოლიუციო პარტიაში მონაწილეობას იღებენ; 3. გაჰგზავნოს რუსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყრუებულ ადგილებში ისეთი პირები, რომელთაც შეთქმულობისა ან აჯანყების შესახებ რაიმე დოკუმენტები აღმოაჩნდებათ.

⁂ „საქართველოს საექსარხოსოს მოამბის“ მოსპობა გარდასწყვიტა ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ და უარი განაცხადეს მის გამოწერაზე. იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამაც მოისურვა თავის გამოჩენა და უარი განაცხადა ჟურნალების გამოწერაზე. ჩხარის, ქვიტირის, ხონის, კულაშის და საჩხერის საბლაღოჩინო ოლქების სამღვდელოების კრებაზე განაცხადეს, რომ მით არც ერთი ჟურნალ-გაზეთი არ გამოიწერონ!... ვაშა ამ სამღვდელოებათა გამჭრიახობას!..

⁂ კულაშის საბლაღოჩინოში საბჭო უნდა აღერჩიათ, რადგან ყოფილი ბლაღოჩინი მღვ. ერ. კანდელაკი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სალმრთო სჯულის მასწავლებლად დანიშვნას ელირსა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან. მაგრამ ბლაღოჩინობის სიტკბოება ისე აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი კანდელაკს, რომ ბლაღოჩინობის დატოვება არა სურს. მოახერხა ისე, რომ ხელახლა აღარჩევინა თავი ბლაღოჩინად და თავისი თანაშემწენი საბჭოს წევრებად. ჩვენ არ გვგონია, რომ ეს უკანონო ალრჩევა დაამტკიცოს ეპარქიის მთავრობამ. თუ მართლა ერთი ღირსეული მღვდელი არ არის კულაშის საბლაღოჩინოში, მაშინ შეიძლება მახლობელი მღვდელი აღირჩიონ ბლაღოჩინად. ვის გაუგონია ბლაღოჩინი ქუთაისში სცხოვრებდეს და მისი საბლაღოჩინო სამოც ვერსტზე დაშორებული იყოს?..

⁂ ვინაიდგან თამამშევს და როტშილდს მრავალ-გვარმა გაფიცვამ აქ საქმე გაუჭირვა თავის საქმეები ეგვიპტეში გადაუტანიათ და იმ დიდი შემოსავლით, რომელიც აქ რჩებოდა სხვა ხალხი ისარგებლებს...

⁂ ამბობენ, რომ ინდოეთში მარგანეცის ქვა აღმოჩნდაო და კარგი თვისებისაცაო. ვაი თუ ჭიათურის ქვას ზარალი მისცეს ამ ახალმა აღმოჩენილმა მარგანეცმა.

⁂ პეტერბურგში მუშათა ცოლებს მიტინგი გაუმართავთ. ორატორი—ქალები მხნედ თხოულობდნენ, რომ კვირა-უქმე დღეებში სამიკიტნოები და ღვინის დუქნები დაიკეტოს ხოლმეო. მიტინგს აუარებელი ხალხი დაესწრო. ერთის მხრით ტაშის კვრა ისმოდა, მეორის მხრით—სტვენა. ზოგიერთი მამაკაცები სცდილობდნენ მიტინგი ჩაეშალათ, მაგრამ ქალებმა განდევნეს ისინი. მიტინგზე გადასწყვიტეს, ყოველი ღონის-ძიება მიიღონ, რომ კვირა-უქმე დღეებში სამიკიტნოები აღარ გააღონ ხოლმე.

⁂ როგორც „რუსკ. სლ.“ გადმოგვცემს, ვიბორგიდან წამოსულ სახელ. სათათბიროს წევრებს გლეხის ტანისამოსში გადაცმული საიდუმლო პოლიციის აგენტები ადევნებენ თვალ-ყურს.—ფინლიანდიაში გაგზავნილ პოლიციის აგენტს დაევალა, როგორც „XX ვეკი“ გადმოგვცემს, ერთთავად ფინლიანდიაში იყოს და იქ დარჩენილ სახელმწიფო სათათბიროს წევრთა მოქმედებას თვალ-ყური ადევნოს. პოლიციის აგენტები მიუჩინეს აგრეთვე პეტერბურგში დარჩენილ წევრებსაც. ზოგიერთ მათგანს, გაზეთების გამომცემლებს და რედაქტორებს, დატუსაღება მოელით, რადგან მათი გაზეთები, პოლიციის აზრით, სოციალ რევოლიუციონურ მიმართულებისაა.

⁂ რათა ჯარში რევოლიუციონურ პროპაგანდას ხელი შეუშალონ, რამდენიმე ოფიცერმა გადასწყვიტა, ჯარს ზოგიერთი პოლიტიკურ ხასიათის საკითხები გააცნონ. პროპაგანდის დროს აფიცრები, განსაკუთრებით, „17 ოქტომბრის კავშირის“ პროგრამით იხელმძღვანელებენ.

⁂ როგორც რკინის გზების კავშირთან ახლო მდგომი პირები გადმოგვცემენ, რკინის გზების გაფიცვა, ჯერ-ჯერობით მაინც, გერ მოხერხდება. ასეთივე ცნობები მოდის ფოსტა-ტელეგრაფის კავშირიდან.

⁂ „რუს. ვედ.“-ის სიტყვით, პეტერბურგში დაუპატიმრებიათ დეპუტატი ნოე ჟორდანია. როგორც მეორე გაზეთი „რუს. სლოვო“ გადმოგვცემს, 30 კაცი შეკრებილა პროფესორ ბოროზდინთან და უცბად თავს დასცემია პოლიცია. გაზეთს დანამდვილებით ვერ გაუგია, რომელი დეპუტატები დააპატიმრეს, რადგან ყველანი წაუყვანიათ. იქვე ყოფილა რამიშვილი და რამდენიმე იმისი ამხანაგი.

⁂ ქალთა უმაღლესი კურსები მოსკოვში. ეს კურსები, ახალ წესდების პროექტის თანახმად, სამ ფაკულტეტისაგან შესდგება: 1. ისტორიულ-ფილოსოფიურის, 2. ფიზიკო მათემატიკურისა. (განყოფილებები მათემატიკურისა და ბუნების მეტყველებისა) და 3. საექიმოსი. ისტორიულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე შემდეგ საგნებს ასწავლიან: საზოგადო ისტორიას, რუსეთის ისტორიას, სარწმუნოებათა ისტორიას, ხელოვნების ისტორიას, პოლიტიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიას, უფლების საზოგადო თეორიას; რუსეთისა და უცხო ქვეყნების სახელმწიფო უფლებასა და რომის სამოქალაქო უფლების ისტორიას, რუსეთისა და საზოგადო ლიტერატურის ისტორიას, ენათა ისტორიას, ლოღიკას, პსიხოლოგიასა და ფილოსოფიის ისტორიას, პედაგოგიკასა და ძველ ენებს. ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტზე შემდეგი საგნებია: უმაღლესი მათემატიკა, მექანიკა, ასტრონომია, ფიზიკა, ფიზიკური გეოგრაფია მეტეოროლოგია, ქიმია, მინერალოგია და კრისტალოგრაფია, გეოლოგია და პალეონტოლოგია, ბოტანიკა, ანატომია და გისტოლოგია და ცხოველთა ფიზიოლოგია. საექიმო ფაკულტეტზე შემდეგია: ადამიანის ნორმალური ანატომია, გისტოლოგია და ემბრიოლოგია, ფიზიოლოგია, ბიოლოგიური ქიმია და საექიმო ფიზიკა, პატოლოგიური ანატომია და საზოგადო პატოლოგია,ბ აქტერიოლოგია და მოძღვრება გადამდებ ავადმყოფობის შესახებ, ფარმაკოლოგია ტოკსიკოლოგიით და რეცეპტურა ფორმაციით, პატალოგია და შინაგან ავადმყოფობათა ტერაპია, ფსიხიატრია, ბებიობა და გინეკოლოგია, ქირურგიული პატალოგია და ტერაპია, ოფტალმოლოგია, ჰიგიენა, სამოსამართლო მედიცინა, მედიცინის ისტორია და ენციკლოპედია, ექსპერიმენტალური ფიზიკა და მეტეოროლოგია, ორგანიული, არაორგანიული და ანალიტიური ქიმია, ბოტანიკა, ზოოლოგია, მინერალოგია და გეოლოგია.

*** (ოფიციალური). ს.-პეტერბურგის გუბერნატორმა ზინოვიევმა გამოჰკიდა მოწოდება მცხოვრებთადმი შემდეგის სათაურით: „რას უნდა მოელოდეს მცხოვრებლები მთავრობისაგან და რა უნდა გააკეთოს ამ უკანასკნელმა“? ამ მოწოდებაში ნათქვამია, ხალხის წარმომადგენლობა და ყველა საჭირო რეფორმები რუსეთს ეწყალობა ხელმწიფის პირადის ნებაყოფლობით. ზოგიერთი რეფორმა განხორციელებულ იქმნა სათათბიროს მოწვევამდე, დანარჩენებს ამზადებს მთავრობა. რომ მთავრობისთვის არ ესაყვედურებინათ, არჩევნებზე გავლენა იქონიაო, ამიტომ პოლიცია არ ჩარეულა არჩევნების საქმეში, არ შეუძლია ხელი კადეტების და ზოგჯერაც სოციალისტების აშკარა აგიტაციისთვის. სახელმწიფომ «საუკეთესო ადამიანები»-ს სახელი უწოდა ხალხის წარმომადგენლებს და მოიწვია იგინი რუსის ქვეყნის ზნეობრივ მხარის გასაახლებლად. სათათბირომ საპასუხო ადრესში შემდეგი მოითხოვა: ძირითადი კანონების შეცვლა, მინისტერთა საბჭოს გაუქმება, სათათბიროსა და არა ხელმწიფის წინაშე პასუხის მგებელ სამინისტროს შედგენა და ამავე დროს სდუმდა იმაზე, რომ უმთავრესი განახლებანი უკვე წამოყენებული ჰქონია ხელმწიფეს. ყველაფერს ამას თათბირი ითხოვდა. მანვე მოითხოვა საყოველთაო ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეთათვის, მათ რიცხვში მკვლელთა და მძარცველთათვის, სიკვდილით დასჯის მოსპობა მეფეების მკვლელთათვისაცკი და გლეხ-კაცებისთვის იძულებით მიწის ჩამოჭრა. სამინისტროს, რომლის შედგენის უფლება, ძირითადის კანონებით, ეკუთვნის თვითონ ხელმწიფეს, სათათბირო სასაცილოდ იგდებდა, უყვიროდა, ლანძღავდა და აგდებულად ხვდებოდა. მას არ შეუმუშავებია არც ერთი კანონი, გარდა სიკვდილით დასჯის სრულიად მოსპობისა; რომელიც მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს შეიცავს და 15 მილიონ მან. გადადებისა დამშეულთა დასახმარებლად. მთელი დრო გრძელ სიტყვებზე დახარჯეს და სათათბირო, რომელიც მორჩილებით მისდევდა რევოლიუციონერებს, ვერ ბედავდა გაეკიცხა თანამდებობის პირთა მკვლელობა და იმავე დროს უსაბუთოდ და ცილის წამებით ადებდა ბრალს მთავრობას ებრაელთა პაგრომების მოწყობაში. სათათბიროს უმეტესობა სდუმდა მემამულეთა ძარცვა-გლეჯასა, წვადაგვასა და მათის მამულების განადგურებაზე. და ბოლოს სათათბიროს უმეტესობამ გაიყვანა დადგენილება, რომლის ძალით უნდა მიემართნა პირ და პირ ხალხისათვის, მთავრობის დაუკითხავად. ასეთ მოქმედებაში შეიძლება დავინახოთ, დანაშაულობით ღალატი დადებულ ფიცისადმი. რაღა დარჩენილიყო, თუ არ დათხოვნა სათათბიროსი და დანიშვნა ახალის არჩევნებისა. ახალმა პრემიერმა განაცხადა, რომ ხელმწიფის განზრახვანი შეურყეველია. მთავრობა გამსჭვალულია მტკიცე განზრახვით ხელი შეუწყოს დაძველებულ კანონების გაუქმებასა და შეცვლას. ძველი წეს-წყობილება განახლდება, წესიერება კი სავსებით უნდა იქნას დაცული გუბერნატორთა პასუხის მგებლობის ქვეშ. მიწის სივიწროეს შეიძლება დავეხმაროთ მხოლოდ ჩაფიქრებითა და თან და თან, აჩქარებითა შეიძლება მხოლოდ წართმევა და გაძარცვა, მაგრამ ეს სასარგებლო არ იქნება და პასუხი მაინც უნდა აგონ. გუბერნატორი, აცნობებს რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხოვრებთ, ახალი არჩევნები იქნებაო, თავის მოწოდების დასასრულ მოაგონებს მათ, სათათბიროს წევრებისთვის საჭიროა არა უბრალო მჭევრ-მეტყველობა, არამედ საღი, მოსაზრებული სიტყვა, ის უნდა იყოს აღჭურვილი არა აქა-იქ ხელ-წამონაკრავ ცოდნით, არამედ ადგილობრივ საქმეთა ცოდნის ნიადაგზე აღმოცენებულ მწიფე მომზადებით, მას უნდა ჰქონდეს გამოცდილება ცხოვრებაში, დინჯი გონება, სიყვარული სამშობლოსადმი, პატიოსნება, ერთგულება და სიმშვიდე. მხოლოდ კეთილ სინიდიერ წარმომადგენლების ხელში შეიძლება განხორციელდეს მხურვალე სურვილები მეფის გულისა— იხილოს ხალხი თვისი ბედნიერი და აღდგენილ იქნება ამ ჟამად შეურყეველი კეთილდღეობა და კეთილ მდგომარეობა დიდებულის რუსეთისა“.

*** **პარლამენტი სპარსეთში.** კვირას, 30 ივლისს, სპარსეთის კონსულმა მიიწვია ტფილისში მცხოვრები სპარსეთის ქვეშევრდომნი და აცნობა სპარსეთიდან მიღებული დეპეშა. როგორც დეპეშებიდანა სჩანს, სპარსეთის შაჰის ნება დაურთავს დაარსდეს „სიმართლის სახლი, (პარლამენტი), სადაც უნდა შეიკრიბნენ არჩეული წარმომადგენელნი ყველა წოდებისა. ამ პალატამ უნდა შეიმუშაოს ახალი კანონები და წარუდგინოს შაჰის დასამტკიცებლად. ხალხი ამ ამბავს სიხარულით მიჰგებებია.

ოქმი.

✝ 1906 წელსა, ივნისის პირველსა დღესა, ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი ონის საბლაღოჩინოს ოლქის სამღვდელოება ამით ვაცხადებთ, რომ პეტიციით ვთხოულობდით და დღესაც მტკიცედ მოვითხოვთ ჩვენი სამშობლო ეკკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. იმგვარი შინაარსის წერილები საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, როგორიც არის მაგალითად ამ წლის „Церковныя вѣдомости“-ს მეცამეტე და მეთოთხმეტე ნომერში მოთავსებული—ჩვენ მიგვაჩნია საზიზღარ პასკვილად. (ხელს აწერენ სამღვდელოება და მედავითნენი).

ხელის მოწერას ვამოწმებ ბლ. მღ. მათე გორდეზიანი.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

ქრისტიანენი—შვილნი ეკკლესიისა და სამშობლოსი.

ქრისტეს ეკკლესია, რომელსაც შეადგენენ მორწმუნე ქრისტიანენი, არის სულიერი სხეული ქრისტესი, ხოლო თვით იგი არის ცხოველს-მყოფელი თავი ეკკლესიისა. ყოველი ქრისტიანე არის წევრი ეკკლესიისა, ანუ ქრისტეს სხეულისა. ამიტომ ქრისტიანე სცოცხლებს სულიერ-ხორციელად ქრისტეს მადლითა, მისი ძალითა, მსგავსად იმისა, როგორც სცოცხლებს ვაზის შტო მის წვენითა. ვაზისაგან მოშორებული შტო ხმება, კვდება და მიეცემა ცეცხლსა. ისე ქრისტიანე, რომელიც შორდება ეკკლესიასა შეუპოვარი ურწმუნოებითა და სასოწარკვეთილებითა, შეიქმნება ეკკლესიის უვარგის წევრად, კვდება სულიერად და მით იმზადებს თავისთვის საუკუნო ტანჯვის ცეცხლსა. ამიტომ ქრისტიანეს გონიერად, გულითად და თავისუფლად უნდა სწამდეს ღმერთი, სწავლა ქრისტესი, ზეცით მონიჭებული და ეკკლესიის წეს-წყობილებანი. ამასთან ქრისტიანე უნდა იყვეს მოსიყვარულე და მსასოებელი, მტკიცედ დაიმედებული იმაზედ, რომ სარწმუნოებისა და კეთილ-მოქმედების გულისთვის ღმერთი უეჭველად მიანიჭებს მას საუკუნო ნეტარებასა.— ქრისტიანემ უნდა ყოველთვის იქონიოს სიფხიზლე და ყურადღება მასზედა, რა სწარმოებს მის ბუნებაში. იგი ბოროტ ჰაზრსა უნდა აქრობდეს თავის გონებაში და გულში, ხოლო კეთილსა ასრულებდეს საქმით. იგი ახოვნად უნდა ებრძოდეს ბოროტსა თვისივე ბუნებაში. უკეთუ, შემდეგ ბრძოლისა, ქრისტიანე, როგორც უძლური არსება, შესცოდავს, მაშინ მან უნდა მიმართოს ეკკლესიის სამკურნალოსა, უნდა შეინანოს თავისი ცოდვა, ითხოვოს ღვთისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან მისი მოტევება და არა სასოწარიკვეთოს. ქრისტიანეს უნდა ახსოვდეს, რომ მისი ბუნება, როგორც დაცემული, საცოდავია. ადამიანის სხეული კვდება სხეულევან სნეულებათაგან, ხოლო სული მისი კვდება ცოდვათაგან, რომელნიც არიან სულიერნი სნეულებანი. მოწყალე ღვთისაგან კაცს მინიჭებული აქვს წამლობა როგორც სხეულისთვის, ისე სულისთვის. სხეულის წამლობა შესდგება ნივთიერებისგან, ხოლო სულიერ წამლობას შეადგენენ: ქრისტეს მადლი, მისი სწავლა-მოძღვრება, საიდუმლონი, ლოცვა და მარხვა. კაცს გონება იმისთვის აქვს მინიჭებული. რომ იცნას ეს ყოველი და ისარგებლოს მით. სიკერპე და უარყოფა ამ შემთხვევაში ამსგავებენ კაცსა უგუნურ პირუტყვსა, მაშინ როდესაც კაცი უნდა იყვეს კაცად, ხოლო პირუტყვი პირუტყვად. ქრისტიანული წოდება ამისთანა ვალსა სდებს კაცსა. ეს წოდება არის უმაღლესი ყოველთა წოდებათა. ვინც არ არის ერთგული ამ წოდებაში, ის ვერ იქმნება ერთგული სხვა წოდებაშიაც: იგი ადვილად დაარღვევს ყველგან თვის მოვალეობასა...

ქრისტიანე, შვილი ეკკლესიისა, იმავე დროს არის შვილი სამშობლოსი. ძვირფასია სამშობლო! საყვარელია ის ადგილი, სადაც კაცი იბადება, იზრდება, სცხოვრებს, კვდება და უტევებს თვის სახსოვრად ნათესავთა და თვის არსობის ნიშანთა. ბედნიერია კაცი, თუ ეს ნიშანნი იქმნებიან კეთილმოქმედების მოწმენი: მაშინ ხსენება მისი იქმნება კურთხეული. სამშობლოში ძვირფასნი არიან: მშობელნი, ნათესავნი, მეგობარნი, საზოგადოება, ერი, ენა, სარწმუნოება, ეკკლესია, მიწა, წყალი, ჰაერი, ციური მნათობნი და სხ. აქ საწყალი კერაც სანდომიანია. ასეთი ცნობა და შეხედულობა უნდა იქონიოს ქრისტიანემ სამშობლოს შესახებ, თუ იგი არის ჭეშმარიტი იმისი შვილი. მისი ცხოვრება უნდა იყვეს სამშობლოსთვის სასარგებლო და არა მავნებელი. სამშობლოს ყოველი შვილი მოვალეა, რომ ემსახუროს, სარგებლობა მოუტანოს მას, რითაც შეუძლიან: გონებით, ჯანით, შრომით, ქონებით. კერძო შემწეობისგან შესდგება საშობლოს კეთილმდგომარეობა. მშვიდობა და მყუდროება ფრიად საჭირონი არიან სამშობლოსთვის: უამათოდ კერძო პირნიცა სწუხდებიან და იტანჯვებიან. ამიტომ სამშობლოს დასაცველად მტერთაგან, რომელნიც არღვევენ მის მშვიდობასა, ყოველი მამულის შვილი მოვალეა, თუ გარემოება მოითხოვს, შესწიროს თვისი სიცოცხლეცა. ეს არის ქრისტიანული ახოვნება, არის გამოცხადებული იმ სიყვარულისა მოყვასთადმი, რომელიც უანდერძა ქრისტიანეთა მაცხოვარმა. ამგვარი გმირული სიკვდილი არის სისხლით ნათლისღება, არის წამება სარწმუნოებისა და სამშობლოსთვის. ამ ღვაწლისთვის ქრისტიანე, სამშობლოს შვილი, მიიღებს ღვთისაგან უხრწნელების გვირგვინსა. ამისთვის მხედრობა არის პატივცემული წოდება, როგორც დამცველი სამშომლოსი; მისი ერთგული მოსამახურე. თუ მხედრობა სამშობლოს დამხობას, კერძო პირების ინტერესებს ემსახურება, ხელს უშლის სამშობუოს კეთილდღეობას და საზოგადოებას აწიოკებს მაშინ იგი შეჩვენებულია ქრისტესაგან და საზიზღარია საშობლოსაგანაც

სამწუხაროდ, არიან სამშობლოს შვილნი, ამ ჩვენ დროში მეტადრე გამრავლებულნი, რომელნიც ფშვინავენ მხოლოდ ბოროტებითა და არღვევენ საზოგადო და კერძო მშვიდობასა ავაზაკობითა, ავენლობითა, კაცთა მკვლელობითა, თავის მკვლელობითა, ქურდობითა, მტაცებლობითა, შურითა, შფოთითა, ურჩობითა, და სხვა და სხვა საძაგელ საქმეებითა. სამწუხაროდ ესეთნი მტერნი სამშობლოს შვილნი თავს იმართლებენ მით, რომ ყველა ამ ქურდობას და მტაცებლობას ჩადიან მხოლოდ განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნით! მაგრამ აშკარად სტყუვიან, როგორც ამას ამტკიცებენ ნაადვილად განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრნიც. დღეს ძლიერ გავრცელდენ ისეთი პირები რომელთაც არასოდეს არ უფიქრია და არ ფიქრობენ რეფორმების მოხდენაზე; მათი საქმეა ქეიფობა, დროს გატარება ფულის მოხვეჭა და სამშობლოსა და ხალხზე იგინი სრულებით არ ზრუნავენ. დღეს სოციალ-დემოკრატობს, კადეტობს და ფედერალისტობს ხვალ სტრაჟნიკად და პოლიციის მოახლედ ხდება. ხალხი დიდად შეწუხებულია დღეს ამისთანა კაცებისგან და რიგიანი მიაქციონ ყურადღება ამ ხალხის ბრბოს იმათ ვინც ნამდვილი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრნი არიან.

დროა შევიგნოთ, რომ მარტო კაცობრივი ხელოვნება და სწავლა-მეცნიერება ამარა კაცისთვის, თუ მისი ბუნება არ არის მორთული ქრისტეს სწავლითა, თუ ზეციურნი ჭეშმარიტებანი არ ამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრაობენ კაცის გონებას, გულს და ნებას და თუ მათით არ არის შემოსილი ადამიანის სული. დროა შევიგნოთ, რომ ამაოების შვილნი, როგორც ბოროტების მონანი, არც ყოფილან, არც არიან და ვერც იქმნებიან საიმედონი არც ეკკლესიისთვის, არც საზოგადოებისთვის და არც სამშობლოსთვის. დროა ყველა ამათი შეგნებისა, ვიდრემდის კიდევ სულგრძელობს ღმერთი და არ გვიცხადებს თვის სამართლიან მრისხანებასა, ხოლო როდესაც იგი მოგვევლინება და როცა იგი შეგვბოჭავს შიშით და ძრწოლვით, მაშინ არავითარი ხელოვნება და მეცნიერება კაცობრივი ვერ გვიშველის...

მშობელნი და შვილნი—ქრისტიანენი

მაღალია წოდება ქრისტიანე—მამისა, ამიტომ მისი მოვალეობაც დიდია. ქრისტიანე—მამა შუამდგომელია ღვთისა და შვილთა შორის. იგი ღვთისაგან არის მიჩემებული შვილებთა მზრუნველად. მამამ პატიოსნურად უნდა იცხოვროს იმ წოდებაში, რომელშიაც დადგენილია იგი ღვთის განგებითა. პატიოსნური შრომით უნდა მოიპოვოს მან პური არსებისა, ესე იგი, რაც საჭიროა ზომიერ ხორციელი ცხოვრებისთვის, და ასაზრდოვოს თვისი ცოლშვილი, ღვთის სადიდებელად. ქრისტიანე—მამამ უნდა იცოდეს, რომ ხორციელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით შესახებ თვის სახლობისა იგი ასრულებს მხოლოდ ნახევარს თვის მოვალეობისასა. ადამიანს, სხეულის გარდა, სულიცა აქვს. ამიტომ მამისგან მოითხოვება, რომ დააკმაყოფილოს უმთავრესნი სულიერნი მოთხოვილებანი თვის შვილთა, —აღზარდოს იგინი ქრისტეს სარწმუნოებაში და კეთილმსახურებაში. ამ დიდი მოვალეობის შესრულება მამა—ქრისტიანეს შეუძლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით იქნქმნება კეთილგონიერი და კეთილზნეობითი, იქმნება მორმწმუნე, მოსიყვარულე და მსასოებელი ღმერთზედა. ამისთანა ზნეობრივი მიდრეკილებით ქრისტიანე—მამა მოიპოებს ღვთის მადლსა,— ყოველ კეთილ საქმეში ღმერთი შეეწევა მას. ცხადია, რომ თვით მამამ უნდა იცოდეს ქრისტეს სარწმუნოების ჭეშმარიტებანი, რომ შვილთაც ასწავლოს; თვით მამას უნდა ჰქონდეს სული კეთილმსახურებისა. რომ შვილთაც შთაბებეროს იგი და წარუდგინოს ღირსეულნი შვილნი თვით ღმერთსა, მის ეკკლესიასა და სამშობლოსა. ასე დიდია მოვალეობა ქრისტიანე—მამისა ამ მოვალეობის აღსრულება შეუძლიან კაცსა ღვთის შეწევნით. ხოლო ღმერთი შველის იმ მამა—ქრისტიანესა, რომელსაც აქვს შეგნება თვის მოვალეობისა, რომელიც უჩვენებს შვილთა კეთილმსახურების მაგალითთა.—მამა—ქრისტიანე ოჯახში უნდა იყვეს მნათობი კეთილისა, რომ ოდესმე მისცეს კეთილი პასუხი ღმერთსა—მსაჯულსა.

ქრისტიანე—დედის წოდებაც მაღალია, მისი მოვალეობაც დიდია. დედა ყოველთვის უფრო ახლოა შვილებთან, ვიდრე მამა, რომელსაც ცხოვრების გარემოებანი ხშირად აშორებენ სახლსა. ამიტომ ქრისტიანე—დედის ზნეობრივ მხარეს დიდი გავლენა აქვს შვილებზე. ბედნიერნი არიან შვილები, თუ დედა მათი არის მორწმუნე, ღვთისმოშიში, მშვიდი, სახლკარიანი, შრომის მოყვარე, ალერსიანი, ფაქიზი, ქმარშვილის-მოყვარე. როდესაც დედა—ქრისტიანეს ბუნება შემკულია კეთილმსახურების სულითა, მაშინ შვილნიც, მეტად ანუ ნაკლებ, მიიღებენ დედის მშვენიერ თვისებათა, დიდი მნიშვნელობა აქვს მაწოვრობის დროსაც: ყრმა სწოვს დედის კარგთა ანუ ცუდთა თვისებათა. ამიტომ ბევრად სცოდავენ მშობელნი, როდესაც ყურს არ უგდებენ ამ ძვირფას დროსა. ყოველი ცუდი ჰაზრი, სიტყვა და მოქმედება მშობელთა ჰბადავენ მათში უსიამოვნობასა, ამით დედის სისხლთან რძეც მისი იმღვრევა, და ჰკარგავს საზრდოების ძალასა, ხოლო ეს მავნებელია საწყალი ყრმისთვის. როგორც ცუდი მასალისგან ვერ კეთდება რაიმე რიგიანი ნივთი, ისე დედის წამხდარი რძე ვერ აღზრდის ხორციელად და სულიერად საღ ყრმასა. კარგი ანუ ცუდი საქციელი მშობელთა გადადის შვილებზე: რასაც გაიგონებენ, რასაც დაინახავენ იგინი, მას ადვილად ითვისებენ. ამიტომ მშობელნი, როგორც შვილთ აღმზრდელნი, მოვალენი არიან, რომ გაისწორონ თვისი ნაკლულევანებანი. ამის შეძლება ქრისტიანეს ყოველთვის აქვს: ვინც ისურვებს და იცხოვრებს ისე, როგორც მოითხოვს ქრისტე-მაცხოვარი, მას უეჭველად ხასიათიც გაუსწორდება, იგი ზნეობრივადაც ამაღლდება. რაოდენად ამაღლებს ადამიანის ბუნებასა სიმშვიდე, ალერსი და კურთხევა, იმდენად ავენობა მისი ამცირებს იმავე ბუნებასა, აფუჭებს ყრმათა. ეჭვი არ არის, რომ დასაწყისი კეთილზნეობისა შვილთა უნდა მიიღონ მშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელთაგან. ეს ცხადია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მიმცემს თვით უნდა ჰქონდეს ისა, რასაც აძლევს სხვასა. ამიტომ მშობელნი თვით უნდა იყვნენ კეთილზნეობითნი. ამას მოითხოვს მათგან კაცობრივი და ქრისტიანული წოდება.

ადვილი არ არის გაზრდა და აღზრდა შვილებისა. მინამ ყრმა გაიზრდება და აღიზრდება, მინამ იგი მოვა ასაკს, დადგება ფეხზე, შეიქმნება დამოუკიდებელი, ამისთვის ბევრი დროება მოითხოვება. ბევრს ითმენენ მშობელნი ამ განგრძობის დროში, ბევრს ოფლსა და ცრემლსა ღვრიან იგინი, ბევრი სისხლი უფუჭდებათ მათ შვილების გულისთვის. მათი მოთმინება ამ შემთხვევაში არის გმირობა ცხოვრებისა, არის წამება. მეტადრე შვილთა სწავლის და აღზრდის დროს ორკეცდებიან შრომა და მზრუნველობა მშობელთა. ეს ყოველი უნდა ესმოდეთ შვილთა, უნდა ღრმად შეიგნონ, რომ ანუგეშონ მშობელნი თვის კეთილზნეობითა და შეუმსუბუქონ მათ ტვირთი მზრუნველობისა. მორჩილობა შვილთა ახარებს და ანუგეშებს მშობელთა, ხოლო ურჩობა, ანჩხლობა და კერპობა ამწუხარებენ, შხამავენ მშობელთა სიცოცხლესა. ეს ჭეშმარიტება ყოველთვის სახეში უნდა ჰქონდეთ შვილებსა. მორჩილობა არის საფუძველი კეთილ-აღზრდილობისა. მორჩილი ყმაწვილი სწავლობს და იქცევა კარგად, მიდის სწორე გზით, იზრდება ჭეშმარიტ კაცად, იგი არის საყვარელი შვილი ღვთისაცა და სახლობისაცა. ხოლო ურჩობა არის დიდი ბიწიერება. ურჩი ყმაწვილი ნამდვილი მტერია თავის-თავისა. ურჩობა აყენებს მას ცუდ გზაზე, შეიქმნება იგი უვარგისად, მძიმე ტვირთად, როგორც სახლობისთვის, ისე სამშობლოსთვის. ნაცვლად მშვიდობისა, სიხარულისა და ნუგეშისა მას ყველგან შეაქვს შფოთი და უსიამოვნობა...

შვილი საჭიროებს განათლებას. ამ განათლებამ უნდა გაუხსნას კაცსა გონება იმდონად, რომ შეეძლოს მას სწორე მსჯელობა, შეეძლოს ჭეშმარიტებისა და სიცრუვის ცნობა, გულს უნდა უჩვენოს ნამდვილი საგანი სიყვარულისა, ხოლო ნებას —გზა კეთილისა. ეს უნდა იყვეს ჭეშმარიტი განათლების მიზნად. ჭეშმარიტებით, სიყვარულით და კეთილით უნდა შეამკოს განათლებამ კაცის ბუნება. ხოლო უმაღლესნი ჭეშმარიტებანი არიან: ღმერთი, მონიჭებული მისგან მაცხოვარება და ადამიანის უკვდავება. ამ სამ ჭეშმარიტებათა ლამპარი აგზნებულია ადამიანისთვის ქრისტეს ზეციერ სწავლაში. ამიტომ ქრისტიანე—შვილმა, მოსწავლემა, მნათობი ცხოვრებისა და მეცნიერებისა უნდა აინთოს პირველად და უმეტესად ქრისტეს მეცნიერ ლამპარზედ, რადგანაც კაცობრივი სწავლა უამისოდ წარმოადგენს მხოლოდ მეცნიერების მქრალ ნაპერწკალსა. კაცობრივი სწავლა არის ნაყოფი კაცის ჰაზრობისა. ხოლო კაცის გონება არის დაცემული. იგი, როგორც ამისთანა, საჭიროებს შემწეობაში, აღდგენაში და შეგონებაში, რომ კაცი ზარმაცად და უზრუნველად არ იწვეს სიცრუვის მომაკვდინებელ სარეცელზე. ეს აღდგენა და შეგონება მოანიჭა კაცობრივობასა ქრისტემაცხოვარმა. ამიტომ შვილნი-ქრისტიანენი უმეტესად უნდა განათლდნენ ქრისტეს სწავლითა. ამ სწავლამ უნდა მისცეს კაცობრივ სწავლასა ის ნათელი, რომელიც მას არა აქვს,—ნათელი სარწმუნოებისა და კეთილმსახურებისა, რომელნიც არიან საფუძველნი ნეტარის უკვდავებისა, ხოლო ეს უკვდავება არის უმთავრესი მიზანი ადამიანის ცხოვრებისა.—უკეთუ კაცობრივი სწავლა უქრობს ადამიანსა ქრისტეს ნათელსა, მაშინ მოსწავლე წინ კი არ მიდის, არამედ უკან იწევს უბედურებისა, უფსკრულისკენ, სამწუხაროდ მშობელთა და კაცობრიობისა სამარცხვინოდ. კეთილი შვილი, თავის დროზე შეიძენს ჭეშმარიტ სწავლასა, შეიქმნება დამოუკიდებელი, განათავისუფლებს მშობელთა მზრუნველობისგან, იწყობს საკუთარ ცხოვრებას, სადიდებელად ღვთისა, სასიხარულოდ და სანუგეშოდ მშობელთა, ხოლო ეკკლესიისა და სამშობლოს სასარგებლოდ, როგორც ლოცულობენ მოსწავლენი ყრმანი. ასეთი უნდა იყვეს დასასრული ჭეშმარიტი აღზრდისა და განათლებისა: შვილი სიცრუვისა და სიბნელისა უნდა შეიქმნეს ჭეშმარიტებისა და ნათლის შვილად. ამაში მდგომარეობს ჭეშმარიტი ბედნიერება ადამიანისა, როგორც უკვდავი არსებისა.

ი. ბალუევი.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განყოფილება: რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის საქმე? სოფლის ხუცისა.—ქარაფშუტა ბლაღოჩინები.—ჩვენი მოვალეობა ობლების შესახებ.—ჯარისა და ფლოტის აჯანყება.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—მეცნიერ კაცთა გონების სალაროდამ.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე: ქრისტიანენი—შვილნი ეკკლესიისა და სამშობლოსი, ი. ბალუევის.—მშობელნი და შვილნი—ქრისტიანენი, მისივე.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე,

სტამბა ჟურნალის „მწყემსი"-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.